პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი № 144 (13836) | ხუთშაბათი, 22 ივნისი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

საიუბილეო ვახტზე

⊙ ადიგენის რაიონის მშრომელებმა, — აცნობეს „კომუნისტის“ რედაქციას საქართველოს კპ ადიგენის რაიკომის პირველმა მდივანმა პ. მეძვაგიშვილმა, რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ შ. ძასრაშვილმა, სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა პ. ძაძამიამ, — პირობა გაანაღდეს. 15 ივნისისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 2.125 ცენტნერი ხორცი ნაცვლად ნახევარი წლის გეგმით გათვალისწინებული 1.950 ცენტნერისა, 12.200 ცენტნერი რძე ნაცვლად 12.150 ცენტნერისა, 176 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად 136 ათასი ცალისა, 67 ცენტნერი მატყული ნაცვლად 66 ცენტნერისა.

გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე სახელმწიფოსათვის ტყავნედლეულის მიყიდვის ნახევარი წლის გეგმა.

⊙ მცხეთა. (საკ. კორ.). წარმატებით ანაღდებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავისათვის ნაკისრ ვალდებულებებს მცხეთის კვების პროდუქტების საწარმოს კოლექტივი.

მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალებით საწარმოს უნდა გამოეშვა 150 ათასი მანეთის აღმოსავლური ტკბილეული. თავდადებული შრომით კვარტლის ბოლოსათვის გამოშვებულ იქნა 235 ათასი მანეთის პროდუქცია.

65 ტონის ნაცვლად საწარმომ სამშობლოს მისცა 111,6 ტონა ტკბილეული.

საწარმოს კოლექტივ მ ა ასევე წარმატებით გაანაღდა აპრილისა და მაისის საწარმოო დავალებანიც.

ალოგაა ალაზნის ველზე

კომბაინები მინდვრად გავიდნენ

თელავის რაიონის სოფელ ლალისყურის მეცხვარეობის საკოლმეურნეობათაშორისო ფერმის (თავმჯდომარე ი. ჯავახიშვილი) მემინდვრეებმა სწორედ მოსავლის აღების დაწყების წინ მიიღეს ზემომაჩხაანელ მემინდვრეთა ღია წერილი, რომელიც „კომუნისტში“ დაიბეჭდა. ერთი კვირაა ც. ბორშოიძის კომბაინი ქერს მკის. კომბაინერმა უყოყმანოდ დაუჭირა მხარი ზემომაჩხაანელებს.

ბახტრიონს გადმოღმა ყანებში მზის ჩასვლამდე გუგუნებს თვითმავალი კომბაინი. ც. ბორშოიძე დღეში 16 ჰექტარზე მკის მოსავალს და ჰექტარზე 25-26 ცენტნერ მარცვალს იღებს.

მან ივაღდებულა:

192 ჰექტარზე ნათეს პურეულის 11-12 სამუშაო დღეში აღება. ჰექტარზე ნაცვლად 12-ისა და 25 ცენტნერი მარცვლის გალეწვა და მიტანა საერთო ბეღელში.

ქერის მკა გაჩაღდა ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ა. ასათიანი) ხოდაბუნებშიც.

მექანიზატორებმა რ. სუმბაძემ და მ. ჩახუტაშვილმა ქერი 25 ჰექტარზე მომკეს და ჰექტარზე 20 ცენტნერი მარცვალი მიიღეს.

— უფრო კარგი პირი უჩანს „ნავენახრების“ მინდვრებს. აქ 30 ცენტნერსაც არ დავჯერდებით ჰექტარზე, — ამბობენ კომბაინერები.

ჯ. რჩეულიშვილი.

ხურათზე: თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სართავი საამქროს მოწინავე მჩითავები ჟ. ბათაშვილი (მარცხნივ) და დ. მელაძე, რომლებიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50-ე წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან და დღიურ დავალებას 110-115 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1967 წლის 21 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მუშაობას განაგრძობდა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების გამო — „საბჭოთა კავშირის პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთში ისრაელის აგრესიასთან დაკავშირებით“ — გამართულ კამათში გამოვიდნენ: ამხანაგები შ. რ. რაშიდოვი — უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, კ. თ. სატუშევი — სკკპ გორკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. პ. მჟავანაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ნ. ნ. როდიონოვი — სკკპ ჩელიაბინსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. ახუნდოვი — აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ი. ე. პოლიაკოვი — გელორუსიის კომპარტიის მინსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ე. ვოსი — ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. ე. კორნეიჩუკი — მწერალი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანი, ბ. ს. ზოლოტუხინი — სკკპ კრასნოდარის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ერთხმად მიიღო დადგენილება განხილულ საკითხზე.

პლენუმმა განიხილა და მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის.

პლენუმზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

პლენუმმა ამხ. ი. ვ. ანდროპოვი აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად.

პლენუმმა ამხ. ი. ვ. ანდროპოვი გაათავისუფლა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

ახლო აღმოსავლეთში ისრაელის აგრესიასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის პოლიტიკის შესახებ

მოისმინა და განიხილა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება „ახლო აღმოსავლეთში ისრაელის აგრესიასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის პოლიტიკის შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

მთლიანად მოწონებულ იქნას ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს პოლიტიკური ხაზი და პრაქტიკული საქმიანობა, რომლის მიზანია ისრაელის აგრესიის აღკვეთა, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკისათვის, სირიისა და სხვა არაბული სახელმწიფოებისათვის მხარდაჭერა, რომლებსაც თავს დაესხნენ, საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის აგრესიის საშიში შედეგების თავიდან აცილება.

ისრაელის აგრესია საერთაშორისო იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციული ძალების, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების იმ შეთქმულების შედეგია, რომელიც მიმართულია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი რაზმის წინააღმდეგ, მოწინავე არაბული სახელმწიფოების წინააღმდეგ, რომლებიც ააღგენენ მშრომელთა ინტერესებისათვის პროგრესული სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების გზას და ახორციელებენ ანტიიმპერიალისტურ პოლიტიკას.

ახლა, როცა ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობენ ავადსაყურო ომს ვიეტნამში, ისრაელის აგრესია ახლო აღმოსავლეთში იმისმოტრფიალე იმ იმპერიალისტური წრეების პოლიტიკის საერთო ჯაჭვის კიდევ ერთი რგოლია, რომლებიც ცდილობენ შეაჩერონ ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიის, მშვიდობისა და სოციალიზმის საქმის ისტორიული წინსვლა.

საბჭოთა კავშირი, სხვა სოციალისტური ქვეყნები, მთელი პროგრესული ანტიიმპერიალისტური ძალები მხარს უჭერენ არაბი ხალხების სამართლიან ბრძოლას იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, იმ ხელშეუვალი უფლებისათვის, რომ თვითონ გადაწყვეტდნენ თავიანთი საშინაო ცხოვრებისა და საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხს. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელიც საბჭოთა კომუნისტების, მთელი საბჭოთა ხალხის ნებას გამოხატავს, ადამჭრით გმობს ისრაელის აგრესიას და აცხადებს, რომ სოლიდარობით ეკიდება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიის, ალჟირისა და სხვა არაბული ქვეყნების ხალხებს.

პლენუმი აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების სწრაფმა, გაბედულმა და ერთობლივმა მოქმედებამ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ახლო აღმოსავლეთში საომარი მოქმედების შეწყვეტის საქმეში. ჩვენი პარტიისა და საბჭოთა მთავრობის პოზიციას, მათს პრაქტიკულ ღონისძიებებს ახლო აღმოსავლეთის ამბებთან დაკავშირებით სავსებით დაუჭირა მხარი მთელმა საბჭოთა ხალხმა.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ პასუხსაგებ მომენტში საერთაშორისო მოვლენათა განვითარებაში ერთად, მხარდამხარ მოქმედებდნენ მოძმე სოციალისტური სახელმწიფოები, რომლებმაც ხელი მოაწერეს 1967 წლის 9 ივნისის განცხადებას. ერთხელ კიდევ დადასტურდა, რომ სოციალისტური ქვეყნების ერთობლივი მოქმედება მძლავრი ფაქტორია საერთაშორისო იმპერიალიზმის აგრესიული ხრიკების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სავსებით იწონებს სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების ცენტრალური კომიტეტებისა და მთავრობების, ამა წლის 9 ივნისის განცხადებას და ადასტურებს, რომ საბჭოთა კავშირი სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად ყოველ ღონეს იხმარს, რომ დაეხმაროს არაბული ქვეყნების ხალხებს საკადრისი პასუხი გასცენ აგრესორს, დაიცვან თავიანთი კანონიერი უფლებანი, ჩააქრონ ომის კერა ახლო აღმოსავლეთში, აღადგინონ მშვიდობა ამ რაიონში.

ახლა, როცა იმპერიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის ძალები, სარგებლობენ ისრაელის აგრესიის შედეგად ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარებით და ხელყოფენ არაბული ქვეყნების დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას, უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ ხელი შევუშალოთ აგრესორს ისარგებლოს თავისი ვერაგული მოქმედების შედეგებით, მივაღწიოთ იმას, რომ ინტერვენტებმა დაუყოვნებლივ, ყოველგვარი პირობების წამოუყენებლად გაიყვანონ თავიანთი ჯარები დაპყრობილი ტერიტორიებიდან დაზავების ხაზს იქით და აუნაზღაურონ არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას, სირიასა და იორდანიას აგრესიით მიყენებული ზარალი.

ჩვენი პარტიის პოლიტიკის იმ ძირითადი მიზნების შესაბამისად, რომლებიც სკკპ XXIII ყრილობამ განსაზღვრა და ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის დეკემბრის პლენუმმა დაადასტურა, საჭიროა კვლავაც ვიბრძოლოთ იმპერიალიზმის აგრესიული ძალებისა და მათი პოლიტიკის — სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის პოლიტიკის წინააღმდეგ, კვლავაც განვახორციელოთ თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის, ტერიტორიული მთლიანობისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლი არაბული სახელმწიფოების მხარდაჭერის გზა.

საჭიროა კვლავაც განვამტკიცოთ მეგობრობა და შეკავშირება საბჭოთა კავშირსა და არაბულ სახელმწიფოებს შორის, მტკიცე პასუხი გავცეთ იმპერიალიზმის ხრიკებს, ვამხილოთ მისი ნამდვილი, ანტიხალხური სახე, ვიბრძოლოთ მაო ძე-დუნის ჯგუფის იმ ცილისმწამებლური კამპანიისა და გამთიშველი მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც მიზნად ისახავს ანტიიმპერიალისტური ძალების გათიშვას, არაბულ სახელმწიფოთა ხალხებსა და სოციალისტური ქვეყნების ხალხებს შორის ნდობის შერყევას.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმის აზრით, ახლო აღმოსავლეთის ამბები ახალი ძალით ცხადყოფენ, რომ საჭიროა კომუნისტური და მუშათა პარტიების, საერთაშორისო მუშათა მოძრაობისა და აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მთელი მშვიდობისმოყვარე და პროგრესული ძალების, ყველა იმათი მოქმედების ერთიანობა, ვისთვისაც ძვირფასია ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საქმე, საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლის საქმე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ახორციელებს რა XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, კვლავაც განუხრელად იბრძოლებს იმპერიალიზმის აგრესიული ძალების წინააღმდეგ, განამტკიცებს საბჭოთა ხალხის მაღალ სიფხიზლეს, თანმიმდევრულად განახორციელებს სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ კურსს, შეასრულებს თავის ინტერნაციონალურ მოვალეობას — ყოველნაირად დაუჭერს მხარს ხალხებს, რომლებიც თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სოციალური პროგრესისათვის იბრძვიან. მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალების ერთობლივ მოქმედებას შეუძლია აღაგმოს აგრესორი და თავიდან აგვაცილოს ახალი მსოფლიო ომი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი მოუწოდებს პარტიულ ორგანიზაციებს, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთ კიდევ უფრო თავდადებით იშრომონ კომუნიზმის ასაშენებლად, კიდევ უფრო განამტკიცონ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და სამხედრო ძლიერება, ღირსეულად შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან 50 წლისთავს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1967 წლის 21 ივნისის დადგენილება

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისების შესახებ

მოწონებულ იქნას სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის.

შეხვედრები ნიუ-იორკში

ნიუ-იორკი, 21 ივნისი. (საკდესი). 20 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი ნიუ-იორკში შეხვდა ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ჩაგლას. საუბრის დროს, რომელიც მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა, ერთმანეთს გაუზიარეს აზრები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის მუშაობის საკითხებზე.

იმავე დღეს ა. ნ. კოსიგინმა მიიღო საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი კუვ დე მიურვილი. მეგობრულ საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და საფრანგეთის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან რ. სეიდუ. განიხილეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის მუშაობის საკითხები.

დარბაზობა ა. ნ. კოსიგინთან

ნიუ-იორკი, 21 ივნისი. (საკდესი). 20 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა დარბაზობა გაუმართა არაბული სახელმწიფოების დელეგაციებს, რომლებიც ნიუ-იორკში ჩამოვიდნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალურ სესიაზე.

დარბაზობაზე იყვნენ სირიის პრეზიდენტი ნურედინ ატასი და სირიის საგარეო საქმეთა მინისტრი იბრაჰიმ მაჰუსი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტის თანაშემწე საგარეო საქმეებში მაჰმუდ ფაზზი, სუდანის პრემიერ-მინისტრი აჰმედ მაჰჯუბი და სუდანის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჰუსეინ ელ-ჰინდი, იორდანიის საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმედ ტუკანი, ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი ადნან პაჩაჩი, იემენის საგარეო საქმეთა მინისტრი მუჰამედ ა. სალამი, კუვეიტის საგარეო საქმეთა მინისტრი საბაჰ ალ-აჰმად ალ-ჯაბერ ალ-საბაჰი, ლიბანის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟორჟ ჰაქიმი, ლიბიის საგარეო საქმეთა მინისტრი აჰმედ ბიშტი, ტუნისის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივანი ჰაბიბ ბენ ჰაბიბ ბურგიბა, მაროკოს მეფის პირადი წარმომადგენელი აჰმედ ბალაფრეჯი, ალჟირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისაგან ტევფიკ ბუატურა, საუდის არაბეთის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან ჯამილ ბარუდი, არაბული ქვეყნების ლიგის წარმომადგენელი ჰასან ელ-ჰოლი, აგრეთვე არაბული სახელმწიფოების სხვა მუდმივი წარმომადგენლები გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან.

დარბაზობამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ნ. ვ. პოდგორნი იუგოსლავიაში

ბელგრადი, 21 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, რომელიც არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში მიემგზავრება, გუშინ ბრიონის კუნძულზე ჩამოვიდა იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოს მოწვევით.

ქალაქ პულის აეროპორტში ნ. ვ. პოდგორნის შეხვდნენ პრეზიდენტი ი. ბროზ ტიტო, ფედერაციის საბჭოს წევრი ვ. ვლახოვიჩი, ფედერაციის საბჭოს პრეზიდიუმის გენერალური მდივანი ვ. პოპოვიჩი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს თავმჯდომარის მოადგილე რ. კოლაკი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელი მ. პავიჩევიჩი.

ბელგრადი, 21 ივნისი. (საკდესი). გუშინ ბრიონის კუნძულზე გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნისა და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოს საუბარი, რომელშაც მეგობრულ და გულითად ვითარებაში ჩაიარა.

საუბრის დროს მათ ერთმანეთს გაუზიარეს აზრები ახლო აღმოსავლეთში უკანასკნელი ამბების შედეგად შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით და ურთიერთსაინტერესო სხვა საკითხებზე.

პოდგორნი არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში

ბელგრადი, 21 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, რომელიც ბრიონის კუნძულზე იყო იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტის იოსიპ ბროზ ტიტოს მოწვევით, კაიროში გაემგზავრა.

ნ. ვ. პოდგორნი გააცილეს იოსიპ ბროზ ტიტომ და იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო მოღვაწეებმა.

კაირო, 21 ივნისი. (საკდესი). პრეზიდენტ გამალ აბდელ ნასერისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით დღეს კაიროში ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი.

სოლიდარობის დეპეშები

საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა დეპეშები გაუგზავნა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის, სირიის, ლიბანის, ალჟირისა და სხვა არაბული ქვეყნების მშვიდობის დაცვის კომიტეტებს. დეპეშებში გამოხატავენ სოლიდარობას არაბი ხალხების სამართლიანი ბრძოლისადმი და გადაჭრით გმობენ ისრაელის აგრესიას. იუწყებიან აგრეთვე, რომ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ისრაელი ექსტრემისტების მოქმედების წინააღმდეგ პროტესტისა და იმ დახმარების ფართო კამპანია, რომელსაც საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები უწევენ აგრესიის გამო დაზარალებულ არაბთა ქვეყნების მოსახლეობას.

პროპაგანდისტთა II რესპუბლიკური შეკრების მონაწილეთა საყურადღებოდ!

პროპაგანდისტთა II რესპუბლიკური შეკრება გაიხსნება 23 ივნისს დილის 11 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, 8).

შეკრების მონაწილეთა რეგისტრაცია იწარმოებს 23 ივნისს დილის 9 საათიდან 10 საათსა და 30 წუთამდე.

საერთაშორისო ხროვკრება

გენერალური ასამბლეის საგანგებო სესია

ნიუ-იორკი, 20 ივნისი. (საკდესი). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის საგანგებო სპეციალური სესიის დილის სხდომაზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი არ დაეთანხმა კრიტიკას, რომელიც ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრმა ებანმა გამოთქვა გუშინდელ სიტყვაში მის მიმართ, როცა ცდილობდა გენერალური მდივნისათვის დაედო ნაწილობრივ ბრალი შეიარაღებული კონფლიქტის გამო, რადგან უ ტანმა არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის თხოვნის შესაბამისად განკარგულება გასცა გაეყვანათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საგანგებო ძალები არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ტერიტორიიდან და ღაზის რაიონიდან.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის გოლდბერგის გამოსვლამ დაადასტურა, რომ ვითომდა „ნეიტრალიტეტის" ნიღბით შეერთებული შტატები ახორციელებენ ისეთ ხაზს, რომ ისრაელს საშუალება მისცენ ისარგებლოს აგრესიის შედეგებით.

გოლდბერგმა ცინიკურად განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისათვის მიუღებელია „საბჭოთა კავშირის წინადადება დაგმოს ისრაელი როგორც აგრესორი", და ამტკიცებდა, „სამართლიანი და კონსტრუქციული არ იქნებოდა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ცალმხრივად დაგმოს ისრაელი, როგორც აგრესორი".

გოლდბერგმა შეიტანა ამერიკის რეზოლუციის პროექტი, რომელშიც აგრესორის ჯარების გაყვანას უკავშირებს სხვა პრობლემების გადაწყვეტას.

ამერიკელი დელეგატის გამოსვლამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მფარველობენ აგრესორს.

სირიის არაბთა რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნურედინ ატასიმ გენერალურ ასამბლეას მოუწოდა დაგმოს ისრაელის აგრესია, მოითხოვოს ისრაელის ჯარების გაყვანა ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან და აგრესიის ყველა შედეგის დაუყოვნებლივი აღმოფხვრა. სირია, ხაზგასმით აღნიშნა მან, მიესალმება საბჭოთა რეზოლუციის პროექტს, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა შეიტანა. ეს პროექტი, აღნიშნა ატასიმ, მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირს კარგად ესმის ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარება.

ამერიკის რეზოლუციის პროექტს, თქვა სირიის პრეზიდენტმა, საფუძველად ის უდევს, რომ ისრაელმა აგრესორებმა განაგრძონ არაბული ტერიტორიის ოკუპაცია და ამიტომ ამ პროექტს გადაკრით უარყოფენ არაბული სახელმწიფოები.

ატასიმ თქვა, თუ საბჭოთა კავშირის რეზოლუციის პროექტს მივიღებთ, ამით შევინარჩუნებთ მშვიდობას ახლო აღმოსავლეთში და თავიდან ავიცილებთ ახალ აფეთქებასო. არაბი ხალხი, ხაზგასმით აღნიშნა მან, არასოდეს არ შეურიგდება თავისი ტერიტორიის ოკუპაციას. არაბულ ქვეყნებს დიდი პოტენციალი აქვთ, და ამ პოტენციალის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იყო გამოყენებული ხანმოკლე სამამარ კონფლიქტში.

სირიის პრეზიდენტმა ასამბლეას მოუწოდა თავი არ მოიტყუოს ისრაელის მმართველი წრეების „მშვიდობისმოყვარული დაპირებებით".

ატასიმ ასამბლეას გააცნო, რომ ისრაელმა 5 ივნისის თავდასხმის წინ მეზობელი არაბული ქვეყნების წინააღმდეგ მოახდინა მოელი რიგი დიდი სამხედრო აქციები, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისრაელი მიზნად ისახავდა ამერიკის შეექცევინა ფლოტის დახმარებით დაემხო სირიის პროგრესული რეჟიმი.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა ოლზეფ ლენარტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ისრაელის მილიტარისტულმა ძალებმა მოახდინეს წინასწარ მომზადებული, უეცარი, ვერაგული თავდასხმა, ეყრდნობოდნენ გარკვეული იმპერიალისტური ძალების ფართო საგარეო მხარდაჭერას.

აღშფოთებით მოვისმინეთ აქ, გენერალურ ასამბლეაში, თქვა ლენარტმა, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის ამაო ცდები დიდების შარავანდედით შემოსოს თავისი ქვეყნის აგრესია. ვერც კი წარმოვიდგენთ, თუ რა კატასტროფული შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ აგრესიას, განსაკუთრებით რაკეტებისა და ატომური იარაღის საუკუნეში.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა გენერალურ ასამბლეას მოუწოდა უწინარეს ყოვლისა აღმოფხვრას აგრესიის შედეგები და აღადგინოს საერთაშორისო კანონიერება. გულგრილი, გაუბედავი დამოკიდებულება ასეთი ფაქტისადმი, რომ ისრაელის ჯარები რჩებიან არაბული ქვეყნების მიტაცებულ ტერიტორიაზე, თქვა მან, პრაქტიკულად აგრესიისათვის მხარდაჭერას მოასწავებს. ეს იქნება საშიში პრეცედენტი, რითაც ისარგებლებენ ძალები, რომლებიც ხელყოფენ სხვა ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ მხარი დაუჭირა მოთხოვნას, რათა ისრაელმა სავსებით და უმოკლეს ვადაში აანაზღაუროს აგრესიით მიყენებული ყველა ზარალი და დაიბრუნოს მთელი მიტაცებული ქონება. ლენარტმა მხარი დაუჭირა რეზოლუციის პროექტს, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა შეიტანა. სსრ კავშირის პროექტი, თქვა ლენარტმა, გადაჭრით მოითხოვს მშვიდობის შენარჩუნებას, აგრესიის ლიკვიდაციასა და არაბეთის იმ სახელმწიფოთა სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის დაცვას, რომელიც ჯარები თავდასხმის მსხვერპლნი გახდნენ. ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია დარწმუნებულია, რომ სსრ კავშირის პროექტით გათვალისწინებული ღონისძიებათა დაუყოვნებლივი განხორციელება გამოუსწორებელი შედეგების თავიდან აცილების ერთადერთი გზაა.

ისარგებლა რა პასუხის უფლებით, საუდის არაბეთის წარმომადგენელმა ბარუდომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის გოლდბერგის გამოსვლა, რომელშიც ასე ხშირად მეორდებოდა მშვიდობისათვის მოწოდებანი, არხებითად ისრაელის პოზიციის დაცვა იყო. ისრაელს მოქმედება, თქვა ბარუდომ, აიხსნება იმით, რომ ისრაელმა იცის, თუ ვინ უმაგრებს ზურგს და ვინ უჭერს მხარს.

ნიუ-იორკი, 21 ივნისი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტები ლ. ველიჩანსკი, ს. ლოსევი და გ. შიშკინი იუწყებიან: გენერალური ასამბლეის გუშინდელ დღის სხდომაზე გამოვიდა ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ტოდორ ჟივკოვი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას არ შეუძლია უმოქმედოდ იყოს, როცა უაღრესად უხეშად ხელყოფენ არაბული ქვეყნების უშიშროებასა და ტერიტორიულ მთლიანობას, რომლებიც ისრაელს აგრესიის მსხვერპლნი გახდნენ, განაცხადა მან. იგივე ძალები, რომლებმაც ომის ხანძარი გაანთეს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, მოქმედებდნენ ახლო აღმოსავლეთში კრიზისის გამწვავებისას, აქეზებდნენ და ეხმარებოდნენ არაბული ქვეყნების წინააღმდეგ მიმართულ აგრესიას.

ის ფაქტი, განაგრძო ტ. ჟივკოვმა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა გენერალური ასამბლეის საგანგებო სესიის მოწვევას, მოწმობს, რომ მსოფლიოს ხალხებს ულანსკენელი რამდენმე კვირის ამბები.

ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ ისრაელის აგრესია არაბული ქვეყნების წინააღმდეგ ნაწილია გეგმისა, რომელსაც იმპერიალისტური ძალები დიდი ხანია გულდასმით ამზადებდნენ და რომელიც ამერიკელ ჯარისკაცებს ვიეტნამში ომს ანგრევს. ეს ომი, ამბობდა ჟივკოვი, ერთ-ერთ ადგილზე ერთმანეთს ეჯახება ორ ტენდენციას, ერთ მხრივ, ეროვნული თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისა, ეროვნული ინდუსტრიალიზაციისა, ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციისა, ეროვნული კულტურის ინტენსიური განვითარებისა, ეროვნული ენერგეტიკის, ტრანსპორტის, ინფორმაციის, ეროვნული ფულადი ერთეულის, ეროვნული ეროვნული ბანკების, ეროვნული ეროვნული ბანკების, ეროვნული ეროვნული ბანკების

ისინი იცავენ სამშობლოს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრებს გეჯითად დაეუფლონ საბრძოლო ტექნიკასა და იარაღს, წმიდად დაიცვან და ამრავლონ არმიისა და ფლოტის რევოლუციური და საბრძოლო ტრადიციები, ფიზიზლად და საიმედოდ დაიცვან ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად შოგბილი საბჭოთა სახელმწიფოს წმიდათა-წმიდა საზღვრები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 4 იანვრის დადგენილებიდან.

ქვეგანაყოფის სიამაყე

რიგითი ნიკოლოზ გერასიმესძე კვაჭანტირაძე მესამე წელია მსახურობს ქვეგანაყოფში, რომელიც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის მაღალ სახელს ატარებს. ეს საპატიო წოდება ჩვენ მარშან მოვიპოვეთ. სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებით ნიკოლოზმა თავისი წვლილი შეიტანა ქვეგანაყოფის მიერ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობის მოპოვებისათვის ბრძოლაში.

სამსახურის გავლის დროს მან თავი გამოიჩინა როგორც დისციპლინიანმა და შრომისმოყვარე მეომარმა. მას ღრმად აქვს შეგნებული სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრის ვალი და განუხრელად ასრულებს მხედრული ფიცის, სამხედრო წესდებათა მოთხოვნებს, უყოყმანოდ ასრულებს მეთაურთა ბრძანებებს.

რიგითს კვაჭანტირაძეს არც ერთი სასჯელი არა აქვს. დისციპლინიანობასა და საქმის შესრულებაში იგი სხვებისათვის მაგალითის მიმცემია. გაითვალისწინა რა მისი დისციპლინიანობა, მაღალი ტექნიკური მომზადება, მუშაობაში აკურატულობა, მეთაურმა მას საუკეთესო მანქანა ანდო. ნიკოლოზი პირნათლად ამართლებს ამ ნდობას. იგი უფროხილდება, მუდმივი ტექნიკური მზადყოფნის მდგომარეობაში ინახავს მანქანას.

რიგითმა კვაჭანტირაძემ დიდი ოქტომბრის საიუბილეო თარიღის შესახვედრად მაღალი სოციალისტური ვალდებულებები იკისრა.

რიგითი კვაჭანტირაძე კეთილსინდისიერად სწავლობს სამხედრო საქმეს. ყველა სამხედრო დისციპლინაში მხოლოდ ფრიადი და კარგი შეფასებები აქვს.

ნიკოლოზი მონაწილეობას იღებს ქვეგანაყოფის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს მეთაურებსა და ამხანაგებში, თავმდაბალი და თავაზიანია.

სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის, საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებებისა და სანიმუშო მხედრული დისციპლინისათვის რიგითი კვაჭანტირაძე არაერთგზის წაახალისა ნაწილის სარდლობამ. მას მიკუთვნებული აქვს საბჭოთა არმიის წარჩინებულის წოდება და გადაცემული აქვს სამკერდე ნიშანი.

ლენინურ ოთახში ფრიადოსანთა დაფაზე ნიკოლოზის პორტრეტიც არის. იგი ქვეგანაყოფის სიამაყეა. ნიკოლოზი მოწიწებით ინახავს და ამრავლებს ჩვენი ნაწილის მეომართა ტრადიციებს.

ნაწილის სარდლობა მადლობას უძღვნის ნიკოლოზის მშობლებს თავმდაბალი და შრომისმოყვარე ჭაბუკის აღზრდისათვის. მადლობას ვუძღვნით მახარაძის რაიონის ზემო ნატანებს საშუალო სკოლის პედაგოგებს, ახალგაზრდა თაობის აღზრდის ჩვენს საერთო საქმეში შეტანილი წვლილისათვის.

ე. კურგანსკი,
უფროსი ლეიტენანტი.

• • •

სურათზე: ნ. კვაჭანტირაძე.

42 წახალისება



პატივცემულ სოფიო და შოთა! ჩვენი ნაწილის სარდლობა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები გიძღვნიან თქვენ, აგრეთვე საჩხერის რაიონის ჭორვილის საშუალო სკოლის კოლექტივს საბრძოლო სალამს და დიდ მადლობას ელდარ შოთას-ძე ივანიშვილის აღზრდისათვის.

საბჭოთა არმიის რიგებში სამსახურის დროს უფროსმა სერჟანტმა ელდარ შოთას-ძე ივანიშვილმა თავი გამოიჩინა როგორც შრომისმოყვარე, დისციპლინიანმა მეომარმა, მონდომებით სწავლობს სამხედრო საქმეს, ჩინებულად ფლობს საბრძოლო ტექნიკას, პატიოსნად და კეთილსინდისიერად ასრულებს მხედრული ფიცისა და სამხედრო წესდებათა მოთხოვნებს. მოელი სამსახურის განმავლობაში იგი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანია, ხოლო ქვეგანაყოფს, რომელსაც იგი მეთაურობს, ნაწილში პირველი ადგილი უჭირავს.

ლირსშესანიშნავი თარიღისათვის — საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისათვის რომ ემზადება, ქვეგანაყოფმა გადიდებული ვალდებულებები იკისრა. საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში საუკეთესო წარმატებებისათვის ე. ივანიშვილს მიღებული აქვს 42 წახალისება.

გისურვებთ ჯანმრთელობას, შრომაში წარმატებებს და მრავალ წელს ბედნიერ სიცოცხლეს.

ასეთი წერილი მიიღეს საჩხერის რაიონის ს. ჭორვილის მცხოვრებლებმა სოფიო და შოთა ივანიშვილებმა იმ სამხედრო ნაწილის სარდლობისაგან, სადაც სავალდებულო სამხედრო სამსახურს გადის მათი შვილი ელდარ ივანიშვილი.

• • •

სურათზე: ე. ივანიშვილი.



ოჯახის ფრაღიცია

მიმდინარეობდა ჩვეულებრივი ტაქტიკური სწავლება. წვრთნის დამთავრებისას ტანკისტებთან მოვიდა ოლქის ჯარების სარდალი. შეაქო ისინი გაწვრთნილობისა და უნარიანობისათვის, ვაუკაცური შესახედაობისათვის. ლაპარაკი ჩამოვარდა სამსახურზე, ცხოვრებაზე, სწავლაზე, გენერალმა უამბო ახალგაზრდა მეომრებს წარსული ომის, მათი მამების გმირობის შესახებ.

ბეგული გაახსენდა თავისი მამა, კაპიტანი მეჭა პარმენის-ძე ვაჩეიშვილი, რომელმაც ტანკით, თავისი ასეულის სათავეში მდგომმა გაიარა გზა ჩვენი რევოლუციის აკვნიდან ფაშისტთა დედაქალაქის ნანგრევებამდე. გაახსენდა მეორე ტანკისტი თავის ნათესავთაგან — ბიძა შალვა პარმენის-ძე ვაჩეიშვილი, რომელიც ტანკში დაიღუპა სადღაც ბელორუსიის ტყეებში. მისი გაკვითლებული ფოტოსურათი ოჯახში ძვირფას რელიკვიად ინახება. გაახსენდა მამის სტუმართა — ყოფილ ლენინგრადელ ფრონტელთა, ბერლინის იერიშის მონაწილეთა ნაამბობიც. მათ შორის აქ ხშირი სტუმარი იყო გამარჯვების მედროშე მელიტონ ქანთარია...

გაიფიქრა, რომ ბედმა არ გაუღიმა მას, სერჟანტმა. არაფრით არ არის შესანიშნავი მისი ცხოვრება, ძალიან ცოტა რამ აქვს გაკეთებული ოჯახური ტრადიციის განსამტკიცებლად და გასამრავლებლად. გენერალმა, თითქოს ეს ფიქრები გამოიცნო, ხმადაბლა თქვა: „აი გიკქერით და ვფიქრობ — ფრონტელებს კარგი ცვლა წამოგვზარდა... ნამდვილი ტანკისტები...“

ოქნებ სწორედ ასე გაიფიქრა ჯარისკაცმა? მეომართა ახლანდელ თაობას წილად არ ხვდა ტყვიების ზუზუნში იერიში მიეტანა მტრის პოზიციებზე, საბრძოლო სინამდვილესთან მაქსიმალურად მიახლოებული სწავლებაც ხომ სრულებითაც არ არის ბრძოლა. მაგრამ ჩვენი დროის კომკავშირელთა დევიზი ტყუილად კი არ გახდა სიტყვები: „ცხოვრებაში ყოველთვის არის ადგილი გმირობისათვის“. მთელი ჩვენი ყოველდღიური მხედრული შრომა შეუჩნეველი გმირობაა. ხომ ყოველდღე, ყოველ საათს უნდა დაძლიო შენი თავი...

იოლი როდია ჯარისკაცის შრომა, კიდევ უფრო რთულია მეთაურის შრომა. მისგან მაგალითს იღებენ, ყველაფერში: გარეგნობით, სიარულით დაწყებული და სამსახურისა და ხელმძღვანელი „ბრძოლის“ უაღრესად რთულ ვითარებაში თავდაჭერის უნარით დამთავრებული. ამას ბეგული ჯერ კიდევ მაშინ მიხვდა, როცა სასწავლო ქვეგანაყოფის კურსანტი იყო. შემდეგ კი, როცა ტანკის მეთაური და ასეულის ზემდეგი გახდა, ცდილობდა არა მარტო თვითონ ყოფილიყო ჭეროვან სიმაღლეზე, არამედ ხელქვეითებისთვისაც, პირველ რიგში სერჟანტებისათვის ჩაენერგა მხედრული სიამაყე, თავისი გვარეობის ჯარისათვის სიამაყე.

ქვეგანაყოფთა ზოგიერთი ზემდეგი ჩივის, რომ სამეურნეო საქმეების გამო დრო არ მყოფნის სბრძოლო სწავლისათვის. ბეგული კი პოულობს ამ დროს, თავის უახლოეს თანაშემწეებს — სერჟანტებს, ასეულის ზემსახურ ჯარისკაცებს რომ ეურდნობა. და მას რჩევას სთხოვენ მემანქანეებიც და დამმუხტავებიც, მექანიკოსი-მძღოლებიც და ტანკების მეთაურებიც. მეზობელი ასეულების ზემდეგებიც კი მოდიან, რომ გამოცდილება გადაიღონ....

საბჭოთა ხელისუფლების საიუბილეო წელმა თავისი კვალი დააჩნია მეომართა მთელ ცხოვრებასა და საქმიანობას. თვითეულის მისწრაფებაა თავისი წარმატებებით გაახაროს სამშობლო. და არა მარტო გაახაროს, არამედ კიდევაც დიცვას, თუ საჭირო იქნება. მსოფლიოში ვითარება ისეთია, რომ მუდამ ფხიზლად უნდა ვიყოთ. და უფროსი სერჟანტი ბეგული ვაჩეიშვილი, ხელქვეითებს რომ ასწავლის, თვითონაც განაგრძობს სწავლას.

მისი დახმარებით იყო, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები, სამხედრო საქმის ოსტატები რომ გახდნენ სერჟანტი ავუზ-დურდი ავეზოვი, სერჟანტები ანატოლი ტკაჩენკო და ნიკოლოზ ბრანშეტე, ეფრეიტორი ვიტალი პოლევოი, ახალგაზრდა ჯარისკაცები კუდრიაცევი, პანკოვი, ბარინნოვი, სამსახურის პირველ წელს „საბჭოთა არმიის წარჩინებულის“ ნიშნები რომ მიიღეს.

თვითონ ბეგულიმ ამ ცოტა ხნის წინათ წარმატებით ჩააბარა ექსტერნად გამოცდა სატანკო სახწავლებლის კურსში.

არა, არა ღირს იმაზე ფიქრი, რომ გმირული რამის გაკეთება თითქოს ვერ მოასწრო. ყოველდღიური მხედრული შრომაც გმირობაა. და ოუ სამშობლოსათვის ბრძოლაში წასვლა მოუხდება, ტანკისტი, ტანკისტის შვილი ბეგული ვაჩეიშვილი ოჯახურ ტრადიციას არ შეარცხვენს.

მაიორი ი. ლეტნიკოვი.

• • •

სურათზე: ბ. ვაჩეიშვილი.

ფოტო ავტორისა.

25 წელი სცენაზე

საქართველოს სახალხო არტისტის მედეა ჯაფარიძის შემოქმედებითი საღამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ საღამოს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში ჯელოფერი უჩვეულოდ გამოიყურებოდა. არ იყო სპექტაკლი, მაყურებლებს კი დარბაზი ვერ იტევდა, საიუბილეო დღისათვის დამახასიათებელი ვრცელი მასალმებებიც — არ ვაისმოდა, მსახიობის სასცენო მოღვაწეობის მეოთხედ საუკუნეს აღნიშნავდნენ, იუბილარი კი თვითონ ოცდახუთი წლისას ჰგავდა.

მედეა ჯაფარიძის შემოქმედებით საღამოს, რომელსაც მეგობრული, თბილი და უშფოთო ელფერი დაკერავდა. კარგი გეზი თავიდანვე საბჭოთა ყაზმირის სახალხო არტისტმა **ვ. ანჯაფარიძემ** მოუძღვნა.

მან იუბილეს ტრადიციული გახსნის ნაცვლად თბილი და დამაჯერებელი სიტყვა წარმოთქვა.

შემდეგ თეატრმცოდნე **ნ. ურუშაძე** ვრცლად აღწერს მედეა ჯაფარიძის შემოქმედებას.

საზეიმო ნაწილი თითქოს შეწყდა და მაყურებლის წინაშე წარსდგა თვით მედეა ჯაფარიძე ჭრინჭინას როლში. ამ პატარა სცენამ უფრო მეტი ხალისით აავსო დარბაზი. მედეა ჯაფარიძის პარტნიორები მთელი გულით, მონდომებით ასრულებენ როლებს — თითქოს ეს მათი მილოცვის ერთი ნაწილი იყოს.

მედეა ჯაფარიძეს სასცენო მოღვაწეობის 25 წლისთავს ულოცავს მწერალი **მ. მრევლიშვილი.**

ჭრიჭინას შემდეგ მედეა ჯაფარიძის მონაწილეობით მაყურებლებმა ნახეს ნაწყვეტები კოტა ბუაჩიძის პიესიდან „ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე“ და ბერნარდ შოუს „პიგმალიონიდან“, ხოლო მეორე განყოფილებაში „ოფლიუს ეკისერი და კლეოპატრა“.

შემდეგ მაყურებლებმა ნახეს ფრაგმენტები კინოფილმებიდან, რომლებშიც მონაწილეობს მედეა ჯაფარიძე.

მას გულთბილად მიესალმა საქართველოს სახალხო არტისტი **ბ. კრავეიშვილი,** მედეა ჯაფარიძის პარტნიორი ფილმში „ქეთო და კოტე“.

ეკრანსკენაზე ზემოდან საგანგებოდ ეშვება ყვავილების დიდი თაიგული. მედეა ჯაფარიძეს ესალმებიან საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე **გ. იაქაშვილი,** რუსთაველის სახელობის თეატრის სახელით იუბილარს მიესალმა რესპუბლიკის სახალხო არტისტი **ვ. ბეგიევკორი,** რესპუბლიკის სახალხო არტისტი **მ. ყვარელაშვილი,** მწერალი **მ. ბარათაშვილი,** საქართველოს სახალხო მხატვარი **ელენე ახვლედიანი.** კინორეჟისორმა **ს. პარჯანოვმა** მედეა ჯაფარიძეს მიართვა ხატოვანი მანდილი.

გულთბილი სიტყვები უთხრეს და სამახსოვრო ადრესები გადასცეს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ **ვ. ნინოძემ,** ამბროლაურის რაიონის წარმომადგენელმა **ქ. ნემსოწყვრიძემ.** მსახიობმა **ე. ასლამაზაშვილმა** გაითამაშა სცენა „მედეა ჯაფარიძის დიალოგები“.

შემდეგ წაიკითხეს მილოცვის დეპეშები, რომლებიც მედეა ჯაფარიძის სახელზე მოვიდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. ვრცელი, გულთბილი სიტყვა უთხრა იუბილარს რესპუბლიკის სახალხო არტისტმა **ა. კვანტალიანმა.**

მედეა ჯაფარიძის შემოქმედებითს საღამოში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **ვ. გომიაშვილმა,** რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა, **თ. ციციშვილმა, თ. თეთრაძემ, მ. თბილელმა, ო. კობერიძემ, ნ. ჩხეიძემ, ი. ტრიპოლსკიმ, გ. ლეონავამ, შ. ქოჩორაძემ, ო. მელიქნეოუხუცესმა, გ. ტატიშვილმა, ბ. გამრეკელმა, მსახიობებმა თ. სხირტლაძემ** და **ნ. მგალობლიშვილმა.**

დასასრულ რესპუბლიკის სახალხო არტისტმა მედეა ჯაფარიძემ დამსწრე საზოგადოებას ყურადღებისათვის მადლობა გადაუხადა.

მსახიობის შემოქმედებითს საღამოს დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ხარაძე,** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე,** საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი **ე. სალუქვაძე.**

ზ. რცხილაძე.

მსახიობის საუნჯე

მედეა ჯაფარიძეს სცენური ცხოვრების 25 წელი შეუსრულდა. საოცარია, რა სიჩქარით მიმბის დრო! თითქოს გუშინ იყო, ისე მიდგას თვალწინ — თეატრში მოვიდა სულ ახალგაზრდა გოგონა, ისეთი მშვენიერი, რომ თვალს ვერ მოაშორებდი. საოცრად მიმზიდველი და სანდომიანი — თითქოს ნათელი გადასდიოდა სახეზე. დიდრონი თვალები ხარბად უცქერდნენ ყველას და ყველაფერს, რაც ხდებოდა თეატრში, თითქოს უნდოდათ ერთბამად ამოეკითხათ სცენის ყველა საიდუმლოება.

მას შემდეგ 25 წელიწადმა გაიარა და მედეა ჯაფარიძეს ნატვრა შეუსრულდა. ის გახდა ერთი საუკეთესოთაგანი ქართველ მსახიობთა შორის. მის სახელთან დაკავშირებულია მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მრავალი გამარჯვება და სიხარული.

მედეა ჯაფარიძეზე ლაპარაკი ჩემთვის ადვილიც არის და ძნელიც. ადვილია იმიტომ, რომ მისი სახე, ბუნება ჩემთვის ნათელია. მედეა ლამაზია, ძალიან ლამაზი, და ეს ხომ საუჯვი, სიმდიდრეა მსახიობისათვის. მის სილამაზეში თავმოყრილია საუკეთესო თვისებები — სულიერი სიწმინდე, კეთილი და მოსიყვარულე გული, კეთილშობილი გრძნობები, რასაც ის დაუზოგავად უწილადებს ყველას, სულ ერთია ახლობელია იგი თუ შორეული, ნაცნობი თუ უცნობი.

საერთოდ, მედიკო მაგონებს გაზაფხულის ყვავილს, რომელიც ნაზ სურნელებას გამოსცემს და გათრობს. ძნელია ჩემთვის მედეა ჯაფარიძეზე ლაპარაკი იმიტომ, რომ ჯერ ვერ გამოვარკვიე რა არის მისი შემოქმედების მთავარი თემა. მე მინახავს მის მიერ ნათამაშევი ყველა როლი, მე დიდი ყურადღებით ვადევნებ მას თვალყურს.. პირველსავე როლებში მედეას ნიჭი გამოვლინდა სრულიად დამოუკიდებლად, თავისებურად, მისი ყოველი სახე იყო მკვეთრი, ნათელი, უშუალო და საოცრად გულწრფელი, თანაც შინაგანი იუმორით გამთბარი, თითქოს ამ გოგონას გული აქვს მხიარული, და ეს განსაკუთრებული თვისება უფრო მომხიბვლელს ხდიდა მის მიერ შექმნილ სახეებს.

მე ვიფიქრე: რა შესანიშნავი სახასიათო მსახიობი გვეზრდებამეთქი, მაგრამ შემდეგ წამოვედა სხვა როლები და ბევრმა ლინდა მედეას სხვა მსახიობივი თვისებებიც, — მისი ჯულიეტა არა მარტო შექსპირის ფურცლებიდან არის წამოსული, არამედ ძველი იტალიური ტილოებიდანაც. ჯულიეტაში ის თამაშობს პოეტურ დრამას, მასში ეს-ეს არის გაიღვიძებს ქალი, მე გელი ამ ქალს, მაგრამ ის ბოლომდე რჩება მიჯნაზე. მე ვიფიქრე — მედეა პოეტური ეაფორმიებების გმირია, მაგრამ ვნახე შოუს კლეოპატრა და ვიგრძენი გამჭრიახი პრაქტიკული ქალი, ავზნიანი გოგონას ეშმაკური აზროვნება, სამშინელი სიხარბე, პატივმოყვარეობა, სიავე და თანაც მიამიტობა — ეს საოცარი შერწყმა შესანიშნავად გამოიკვეთა კლეოპატრაში.

მედეას უდიდესი ნებისყოფა და ცხოველმყოფელობა აქვს, მას თავდავიწყებამდე უყვარს თეატრი, სცენა, როლი და ამისათვის მზად არის ყოველივე დათმოს.

მე პირველივე წლებიდან შემიყვარდა მედეა. მხიბლავს მისი კომედიური ნიჭი, მისი ხატოვნი ხელოვნება, მისი ანკარა წყაროსავით გამჭვირვალე სათნოება, მისი მოუსვენრობა.

ბედნიერება მინდა ვუსურვო მას, ყველა მისი ოცნების განხორციელება.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი და ქართველი მაყურებელი კიდევ მრავალ სიხარულს, მრავალ ბრწყინვალე გამარჯვებას ელის მედეა ჯაფარიძისგან.

ვერიკო ანჯაფარიძე,

42 ოქტომბრის

ROCA ASETI SIYVARULIA

რაც მტრობას დაუნგრევია...

ოქტომბრის 50 წლისთავი ... ოქტომბრის ... ოქტომბრის ... ოქტომბრის



თბილისში შუქი ენთება. უამრავი ნეონის ნათურით გაჩირაღდნებულია მისი ძველი და ახალი ქუჩები, ხიდები, სკვერები. სურათზე: ბარათაშვილის სახელობის ხიდი. ფოტო ი. ბაევსის.

ორი ლიდერი

ბრძოლდება რესპუბლიკური ჩემპიონატი ფეხბურთში. ყურადღებას იპყრობს პირველი ჯგუფის პირველი ქვეჯგუფის გუნდების პაექრობა, სადაც თავმოყრილია 22 უძლიერესი კოლექტივი.

დღეისათვის სატურნირო ცხრილის სათავეში დგანან ზესტაფონის „მეტალურგი“ და სამტრედიის „ლოკომოტივი“. თვითეულ მათგანს 19 თამაშიდან შეგროვებული აქვს 28 ქულა. ბურთების უკეთესი სხვაობით წინ არის „მეტალურგი“. ყვარლის „დურჯი“, რომელიც ადრე ჩემპიონატს ლიდერობდა, ახლა მესამე ადგილზეა. მას 18 თამაშიდან შეგროვებული აქვს 25 ქულა. მომდევნო ორი ადგილი უკავიათ მახარაძის „მერცხალსა“ და თბილისის „სინათლეს“. პირველს 18 თამაშიდან 24 ქულა აქვს, მეორეს — 19 თამაშიდან 23 ქულა. ორ გუნდს 21-21 ქულა აქვს. ესენი არიან წალენჯიხის „კოლმეურნე“ (17 თამაშიდან) და ბათუმის რაიონის „ნარინჯი“ (19 თამაშიდან).

სატურნირო ცხრილის ჩამკეტია ტყვარჩელის „მემანგანე“ — 19 თამაშიდან 10 ქულა.

ვატრი ოლესაში

გუშინ დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის მორიგი ტური ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის. გაიმართა ერთადერთი მატჩი. ოდესის „ჩერნომორეცი“ საკუთარ მოედანზე შეხვდა ლუგანსკის „ზარიას“ და გაიმარჯვა 1:0.

საზღვარგარეთის კორტებზე

ინგლისის კენტის საგრაფოს ჩემპიონატის დამთავრებისთანავე დაიწყო ჩოგბურთელთა ახალი შეჯიბრება, რომელიც ალიარებულია „კუინს კლუბის“ პირველობად. ეს ასპარეზობა გენერალურ რეპეტიციას წარმოადგენს მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატის — უიმბლდონის ტურნირის წინ.

„კუინს კლუბის“ ტურნირზე ჩვენი ჩოგბურთელების სტარტი ცუდი როდი იყო. ბაკშევას პაექრობა ჰქონდა ავსტრალიელ შერიფთან და გაიმარჯვა 6:3, 6:4. სსრ კავშირის ეკს-ჩემპიონმა ლეიუსმა დაამარცხა ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ჯუბსი 5:7, 6:3, 7:5. მხოლოდ კორობკოვმა, რომელიც ამას წინათ წარმატებით გამოვიდა კენტის საგრაფოს პირველობაზე ჭაბუკთა შორის, წაგო გამოცდილ ჩოგბურთელ ლალთან 4:6, 6:2, 3:6.

მორიგ ტურში წარუმატებლად გამოვიდნენ ლეიუსი, ბაკშევა და დვინტრევა. ახლა მხოლოდ მეტრეველი განაგრძობს ბრძოლას „კუინს კლუბის“ ტურნირზე სსრ კავშირიდან.

დევისის თასის გათამაშების ამერიკის ზონაში გაიმართა დასკვნითი მატჩი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ეკვადორის ჩოგბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის. ამერიკელები დამარცხდნენ 2:3. ახლა ეკვადორის ჩოგბურთელთა მეტოქე იქნება სსრ კავშირისა და ესპანეთის ჩოგბურთელთა გუნდების მატჩში გამარჯვებული.

დევისის თასის გათამაშების ევროპის ზონის ფინალი მოიწყობა ესპანეთში სსრ კავშირისა და ესპანეთის გუნდებს შორის. ესპანელთა გუნდის ლიდერად ითვლება ცნობილი ჩოგბურთელი **მანუელ სანტანა.** მან საფრანგეთის დიდ საერთაშორისო ტურნირზე დაამარცხა ავსტრალიელი **როი ემერსონი** 5:7, 9:7, 6:3 და პირველი ადგილი დაიკავა.

„ლევსკის“ დამარცხება

მოსკოვს ეწვია ბულგარეთის ფეხბურთელთა საკლუბო გუნდი „ლევსკი“. გუშინ სტუმრებს პირველი საერთაშორისო შეხვედრა ჰქონდათ დედაქალაქის „ტორპედოსთან“. მატჩი აღინიშნა ტორპედოელთა უპირატესობით. მათ მეტოქის კარში სამი ბურთი გაატანეს, საკუთარში კი მხოლოდ ერთი მიიღეს.

კასიუს კლეის მსჯავრი დასდეს

ნიუ-იორკი, 21 ივნისი. (საკდესი). კასიუს კლეის ანუ მოჰამედ ალის, როგორც იგი თავის თავს უწოდებს, ცნობილ ამერიკელ ზანგ მოკრივეს, რომის ოლიმპიადის ოქროს პრიზიორს გუშინ მსჯავრი დასდეს იმის გამო, რომ უარი თქვა ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში სამსახურზე. ორი დღის თათბირის შემდეგ ქალაქ პიუსტონის ნაფიც მსაჯულთა რაიონულმა სასამართლომ, რომელიც მხოლოდ თეთრკანიანებისაგან შედგებოდა, უკანონოდ ცნო, რომ კლეიმ რელიგიური მოსაზრებებით უარი თქვა დაედო სამხედრო ფიცი. კლეის, რომელიც გამოდიოდა ვიეტნამის ომის წინააღმდეგ და მოუწოდებდა ამერიკელ ზანგებს ბოიკოტი გამოეცხადებინათ ამ ომისათვის, გამოუტანეს სამხედრო ფორმის ჩაცმაზე უარის თქმის გამო მაქსიმალურად შესაძლო განაჩენი — ხუთი წლის პატიმრობა და 10.000 დოლარი ჯარიმა.

მანამდე ამერიკის მოკრივეთა ეროვნულმა ასოციაციამ კლეის ჩამოართვა აბსოლუტური მსოფლიო ჩემპიონის ტიტული პროფესიონალ მოკრივეებს შორის.

...ჩვენ ... ეროვნული

რამდენიმე სტრიქონით

□ **სსრ კავშირში** ტურნირს გაიმართავს ... ლიდერი ... მოკრივეთა ... გუნდი. მორიგი მატჩი სტუმრებს ჰქონდათ გუშინ მოსკოვში ჩვენი ქვეყნის ნაკრებთან და ერლავ დამარცხდნენ 0:7.

□ **ავსტრიისა** და **საბერძნეთის** ნაკრებთა **შესარჩევი მატჩი** ფეხბურთში **ევროპის პირველობაზე,** **რომელიც** ეპრილში **უნდა** შემდგარიყო, **არ გაუმართავთ** **საბერძნეთში** **სამხედრო** **გადატრიალების** **გამო.** **ახლა** **ამ** **ორ** **სახელმწიფოთა** **ფედერაციებს** **შორის** **მიღწეულია** **შეთანხმება,** **რომ** **პირველი** **ასეთი** **მატჩი** **შედგეს** **4** **ოქტომბერს** **ათენში.** **15** **ოქტომბერს** **კი** **ავსტრიელები** **ვენაზე** **გამართავენ** **მეორე** **მატჩს** **სსრ** **კავშირის** **ნაკრებთან.**

□ **ტოკიოს** მსროლელთა საერთაშორისო ტურნირზე, **რომელიც** მოსკოვის „დინამოს“ **სასროლეთზე** მიმდინარეობს, **წარმატებით** **გამოვიდა** **საბჭოთა** **სპორტსმენი** **ვ. პარხომოვიჩი.** **მან** **მცირე** **კალიბრიანი** **შაშხანის** **წოლილა** **მდგომარეობიდან** **სროლაში** **597** **ქულა** **შეაგროვა** **600-დან** **და** **პირველი** **ადგილი** **დაიკავა.**

პირჩია, სად გსურს ისწავლო!

ცნობათა კუთხე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

1967-68 სასწავლო წლისათვის მიღება იწარმოებს შემდეგ სკოლა-ინტერნატებში

ქართულ ენაზე სწავლებით — **I კლასში** სოხუმის მეორეში, გულრიფშის რაიონის სოფ. დრანდაში, ქ. ბათუმის რვაწლიანში, ბათუმის (სალიბაურის) საშუალოში, ბათუმის რაიონის სოფ. კირნათში, ქედის რაიონის **სოფ.** მახუნცეთში, ქობულეთის რაიონის ჩისხუბანში, ქ. თბილისის რვაწლიანში, ქუთაისის საშუალოში, ქუთაისის (ცომის) რვაწლიანში, ფოთში, რუსთავში, ახალციხის საშუალოში, ახალციხის რვაწლიანში, ახმეტაში, მახარაძეში, გეგეჭკორში, გეგეჭკორის რაიონის სოფ. სალხინოში, გორის **რაიონის სოფ.** ატენში, ქ. გურჯაანში, გურჯაანის რაიონის სოფ. კაჭრეთში, **ქ.** დუშეთში, დუშეთის რაიონის სოფ. ბარისახოში, ქ. ზუგდიდის საშუალოში, ქ. ზუგდიდის რვაწლიანში, ზუგდიდის რაიონის სოფ. ახალსოფელში, ზუგდიდის რაიონის სოფ. ინგირში, ორჯონიკიძის რაიონის სოფ. კიცხში, სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბეში, თელავში, თეთრ წყაროში, თიანეთში, ცხაკაიაში, წყალტუბოს რაიონის სოფ. ბრიწეულაში, ქ. წულუკიძეში, წითელწყაროში, ჩხოროწყუში, ცაგერის რაიონის სოფ. ლაჯანურში, მესტიაში **III-IV-V-VI კლასებში,** ქ. თბილისის მუსიკალურში **I-II კლასებში,** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკურ № 1 სპეციალურ სპორტულ საშეჯო სკოლა-ინტერნატში **VI კლასში,** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს **რესპუბლიკურ** № 2 სპეციალურ სპორტულ საშუალო სკოლა-ინტერნატში **IV-V-VI-VII-VIII** **კლასებში,** ბეთანიის, ახალდაბის, გორდუბის სანატორიულში **I-II-III-IV-VI-VII-VIII** **კლასებში.**

რუსულ ენაზე: გაგრის რაიონის განთიადის მეორეში (**I** **კლასში**), გულრიფშის რაიონის სოფ. ბაბუშერაში (**I** **კლასში**), გარდაბნის რ. კოჯორში (**I** **კლასში**).

აფხაზურ-რუსულ ენებზე: ქ. სოხუმი (**I** **კლასში**), გაგრის რაიონის განთიადის პირველში (**I** **კლასში**), გუდაუთის სოფ. კალდახვარაში (**I** **კლასში**).

ოსურ-რუსულ ენებზე: ქ. ცხინვალში (**I** **კლასში**), ჯავაში (**I** **კლასში**).

აზერბაიჯანულ ენაზე: ქ. მარნეულში (**I** **კლასში**).

სომხურ ენაზე: ახალქალაქში (**I** **კლასში**), ბოგდანოვკაში (**I** **კლასში**).

სკოლა-ინტერნატში ჩარიცხვის მსურველებმა **განცხადებები** **უნდა** **გაგზავნონ** **1** **ივლისამდე** **შესაბამის** **რაიაღმასკომებთან** **შექმნილი** **მომლები** **კომისიის** **სახელზე.**

განცხადებას **უნდა** **დაერთოს:** დაბადების მოწმობა, საექიმო კომისიის ცნობა ბავშვის ჯანმრთელობის შესახებ (ცნობას უნდა ახლდეს ფორმები № 191 და 26) ცნობა ბავშვის აკადემიური წარმატების შესახებ და პედაგოგიური დახასიათება, ცნობა თვიური ხელფასის თუ სხვა შემოსავლის შესახებ (დედის და მამისა ცალცალკე), ცნობა ოჯახის წევრთა რაოდენობისა და მათი შრომისუნარიანობის შესახებ.

სკოლა-ინტერნატში **მიიღებიან** **ორივე** **სქესის** **ბავშვები** არაუმეტეს 8 წლისა—I კლასში, 9 წლისა — II კლასში, 10 წლისა — III კლასში. 11 წლისა — IV კლასში, 12 წლისა — V კლასში, 13 წლისა — VI კლასში და 14 წლისა— VIII კლასში.

თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი

აცხადებს **მოსწავლეთა** **მიღებას** **1967-68** **სასწავლო** **წლისათვის** **შემდეგ** **სპეციალობებზე** **(ქართული** **სექტორი).**

1. დღის სწავლების განყოფილება:

პირველი **კურსი:**

1. რადიოკავშირი და რადიომაუწყებლობა; 2. კერამიკის ტექნოლოგია; 3. ბმული აზოტის ტექნოლოგია; 4. არქიტექტურა; 5. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა; 6. გაზის მეურნეობა; 7. საავტომობილო გზების შენებლობა და ექსპლოატაცია.

მესამე **კურსი:**

1. რადიოკავშირი და რადიომაუწყებლობა; 2. საფოსტო კავშირგაბმულობა; 3. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა.

2. დაუსწრებელი **სწავლების** **განყოფილება:**

პირველი **კურსი:**

1. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა.

მესამე **კურსი:**

1. რადიოკავშირი და რადიომაუწყებლობა; 2. საქალაქო ავტომატური სატელეფონო კავშირი; 3. საფოსტო კავშირგაბმულობა; 4. სამრეწველო და სამოქალაქო შენებლობა.

დასწრებული **სწავლების** **განყოფილებაზე** **მიიღებიან** **მოქალაქენი** **30** **წლის** **ასაკამდე.** **დაუსწრებელი** **სწავლების** **განყოფილებაზე** **კი,** **ასაკის** **განსაზღვრელად.**

პირველ **კურსზე** **ჩაირიცხებიან** **არასრული** **საშუალო** **სკოლის** **კურსდამთავრებულნი,** **რომლებიც** **ჩაბარებენ** **მისაღებ** **გამოცდებს** **შემდეგ** **საგნებში:** ქართული ენაში (წერა მოთხრობის); ქიმიატაკაში (წერა და ზეპირი).

მესამე **კურსზე** **ჩაირიცხებიან** **საშუალო** **სკოლის** **კურსდამთავრებულნი,** **რომლებიც** **ჩაბარებენ** **მისაღებ** **გამოცდებს** **შემდეგ** **საგნებში:** ქართული ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება); მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

შენიშვნა: საარქიტექტურო სპეციალობის პირველ კურსზე შემომსვლელები ნაცვლად მათემატიკისა (წერა) გამოცდას აბარებენ ხატვაში.

მისაღები **გამოცდების** **ჩაბარების** **შედეგად** **კონკურსგარეშე** **ჩაირიცხებიან:** ა) წარმოებიდან მოვლენებული პირები, რომლებსაც აქვთ ორი წლისა და მეტი პრაქტიკული მუშაობის სტაჟი; ბ) საბჭოთა არმიიდან და სამხედროსაზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი; გ) ორი წლისა და მეტი პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე პირები.

დანარჩენ ადგილებზე ჩაირიცხებიან ყველა დანარჩენი შემსვლელები კონკურსის მიხედვით.

ტექნიკუმის **დღის** **განყოფილებაზე** **ჩარიცხული** **მოსწავლეები** **უზრუნველყოფილი** **იქნებიან** **სტიპენდიით** **და** **საერთო** **საცხოვრებლით** **არსებული** **წესის** **მიხედვით.**

კონკურსის შედეგების შეჯამებისას მხედველობაში იქნება მიღებული როგორც გამოცდების ნიშნები, ისე სკოლის დამთავრების მოწმობაში ნაჩვენები ნიშნები.

განცხადებები **მიიღება** **ტექნიკუმის** **დირექტორის** **სახელზე** **1967** **წლის** **31** **ივლისამდე** **(დაუსწრებელ** **განყოფილებაზე** **5** **აგვისტომდე)** **შემდეგი** **საბუთების** **დართვით:**

1. განათლების მოწმობა (ატესტატი) — დედანი: 2. შრომის (ან საკოლმეურნეო) წიგნაკიდან ამონაწერი, დამოწმებული წარმოების ხელმძღვანელის ან კოლმეურნეობის გამგეობის მიერ. 3. ავტობიოგრაფია; 4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფ. № 286); 5. სამი ფოტოსურათი (ზომით 3×4); 6. დაბადების მოწმობა; 7. პასპორტი, სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულთათვის) ან სამხედრო აღრიცხვის ბარათი (წვევამდელთათვის) წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად; 8. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

დაუსწრებელი **სწავლების** **განყოფილებაზე** **შემომსვლელთათვის** **სავალდებულოა** **სასწავლო** **პროფილის** **შესაბამისი** **სპეციალობით** **მუშაობა.**

ჩარიცხვის შემთხვევაში სასწავლო წლის დასაწყისში წარმოდგენილ უნდა იქნას მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი საბუთის დედანი (დასწრებული სწავლების განყოფილებაზე).

მისაღები **გამოცდები** **1967** **წლის** **1** **აგვისტოდან** **20** **აგვისტომდე.** **მეცადინეობა** **დაიწყება** **1** **სექტემბერს,** **დაუსწრებელი** **სწავლების** **განყოფილებაზე** **—** **1** **ოქტომბერს.**

განცხადებების მიღება და ცნობების გაცემა ყოველდღე 9 საათიდან 16 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. № 8. ტელეფონი 5-32-42.

თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის

რექტორატი

დაუსწრებელი **სწავლების** **ფაკულტეტის** **სტუდენტთა** **საყურადღებოდ** **აცხადებს,**

რომ **1967** **წლის** **26** **ივნისიდან** **29** **ივლისამდე** ქ. თბილისში **მოეწყობა** **ზაფხულის** **სასწავლო-საგამოცდო** **სესია.**

გასული სემესტრის აკადემიური დავალიანების დაფფარავად სტუდენტები საზაფხულო საგამოცდო სესიაზე **არ** დაიშვებიან.

სტუდენტები შესაბამის საგანში გამოცდაზე არ დაიშვებიან აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ საკონტროლო სამუშაოზე დადებითი რეცენზია **არა** აქვთ.

სესიაზე **გამოცხადებისას** **სტუდენტებმა** **უნდა** **წარმოადგინონ** ცნობა სამსახურის შესახებ, გაცემული სათანადო უწყების მიერ (მასწავლებლებმა — განათლების განყოფილებიდან).

სესიაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტებმა სათანადო საბუთის წარმოდგენით ეს უნდა აცნობონ ფაკულტეტის დეკანატს. ლექციებზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის გამო სტუდენტები ზაფხულის საგამოცდო სესიაზე არ დაიშვებიან.

რეგისტრაცია იწარმოებს 24 ივნისს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე, ინსტიტუტის შენობაში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მცხეთის მხატვრული კერამიკული სკოლა

აცხადებს **მოსწავლეთა** **მიღებას** **1967-68** **სასწავლო** **წლისათვის**

სკოლაში **მიიღებიან** **15-18** **წლის** **ასაკის** **ორივე** **სქესის** **მოქალაქენი** **არასრული** **საშუალო** **განათლებით.**

გამოცდები **იწარმოებს:** **ხატვაში** **და** **ძერწვაში.**

გამოცდები 20 ივლისიდან 25 ივლისამდე. **სწავლა** **დაიწყება** I **სექტემბერს.** **სკოლაში** **სწავლის** **ხანგრძლივობაა** **3** **წელი.**

სკოლაში ჩარიცხულთ ეძლევათ სტიპენდია.

შენიშვნა: **სამამულო** **ომში** **დაღუპულთა** **და** **სამამულო** **ომის** **ინვალიდთა** **შვილები,** **აგრეთვე** **ობლები** **და** **საბავშვო** **სახლებში** **აღზრდილები** **დამატებით** **უზრუნველყოფილი** **იქნებიან** **უფასო** **კვებით** **და** **ტანსაცმლით.** **განცხადება** **შემოტანილ** **უნდა** **იქნას** **დირექტორის** **სახელზე** **შემდეგი** **საბუთების** **დართვით:** **ავტობიოგრაფია,** **ატესტატი** **(დედანი),** **ცნობა** **ჯანმრთელობის** **შესახებ** **(ფორმა** **286),** **ცნობა** **საცხოვრებელი** **ადგილიდან,** **სამი** **ფოტოსურათი** **ზომით** **3X4.**

საბუთების **გამოგზავნა** **შეიძლება** **ფოსტით** **შემდეგი** **მისამართით:** **მცხეთა,** **მხატვრული** **კერამიკული** **სკოლის** **დირექტორს.**

თბილისის ი. ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი

აცხადებს **მიღებას** **1967-68** **სასწავლო** **წლისათვის**

მიღება **იწარმოებს** **შემდეგ** **განყოფილებებზე:**

1. სამხატვრო-პედაგოგიური **(ფერწერის** **განყოფილება),** **2. მხატვრული** **გაფორმების,** **3. ტანსაცმლის** **მოდელირება-კონსტრუირების,** **4. ხის** **მხატვრული** **დამუშავების.**

სწავლება **ყველა** **სპეციალობაზე** **4-წლიანია.**

სასწავლებელში **მიიღებიან** **ორივე** **სქესის** **მოქალაქეები** **14-30** **წლის** **ასაკამდე,** **რომლებსაც** **დამთავრებული** **აქვთ** **არასრული** **საშუალო** **ან** **სრული** **საშუალო** **სკოლა** **და** **წარმატებით** **ჩაბარებენ** **მისაღებ** **გამოცდებს.**

გამოცდები **იწარმოებს** **შემდეგ** **საგნებში:** სამხატვრო-პედაგოგიური და მხატვრული გაფორმების განყოფილებებზე— ხატვა, ფერწერა, ქართული (წერა-ზეპირი).

ტანსაცმლის **მოდელირება-კონსტრუირების** **და** **ხის** **მხატვრული** **დამუშავების** **განყოფილებებზე:** ხატვა, ფერწერა — ქართული (წერა — ზეპირი).

სრული საშუალო განათლების მქონენი დამატებით გამოცდას აბარებენ სსრკ ისტორიაში.

მისაღები **გამოცდები** **დაიწყება** **1967** **წლის** **5** **ივლისიდან.**

სასწავლებელში შემსვლელმა უნდა შეიტანოს განცხადება დირექტორის სახელზე. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ავტობიოგრაფია, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286), სამი ფოტოსურათი (შემოწმებული, 3X4 სმ), სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების მოწმობა, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

განცხადებების **მიღება** **1967** **წლის** **1** **ივლისამდე** **ყოველდღე,** **გარდა** **კვირაოდენებისა,** დილის 10 საათიდან ღამის 5 საათამდე სასწავლებლის შენობაში, ქუჩიშვილის ქ. № 9. ტელ. 9-03-93.

უუგანის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

აცხადებს **სტუდენტთა** **მიღებას** **1967-68** **სასწავლო** **წლისათვის**

აგრონომიული **ფაკულტეტის** **პირველ** **კურსზე** **—** **მეთაბაბაძოლოგის** **სპეციალობით.**

განცხადებები **მიიღება** **31** **ივლისამდე** **ჩათვლით.** **შესასვლელი** **გამოცდები** **—** **1-დან** **20** **აგვისტომდე.**

ინსტიტუტში ჩარიცხვისას **უპირატესობით** სარგებლობენ ის პირები, რომლებსაც არჩეულ სპეციალობაში პრაქტიკული მუშაობის სტაჟი აქვთ და სასწავლად გამოგზავნილი არიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ.

ინსტიტუტის **მისამართი:** ქ. კრასნოდარი, 44, კალინინის ქ. 13.

ცეკავშირის თბილისის კოოპერაციული ტექნიკუმი

აცხადებს **მოსწავლეთა** **მიღებას** **1967-1968** **სასწავლო** **წლისათვის** **დღის** **განყოფილებაზე** **საქონელმცოდნეობისა** **და** **საბუხალტრო** **აღრიცხვის** **სპეციალობებზე**

ტექნიკუმში **მიიღებიან** არასრული საშუალო (შვიდწლედი ან რვაწლედი) და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები 30 წლის ასაკამდე, **პირველ** **კურსზე** **აბარებენ** **მისაღებ** **გამოცდებს** **არასრული** **საშუალო** **სკოლის** **კურსდამთავრებულნი,** **რომლებიც** ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს ინსტიტუტში **ჩარიცხვის** **ბრძანებამდე** **ერთ** **თვეში.**

ტექნიკუმში **ჩარიცხული** **ახალგაზრდა** **ბიჭები** **ვალდებულნი** **არიან** **ერთ** **თვეში** **ჩაბარებულ** **ინსტიტუტში** **ან** **ტექნიკუმში** **ერთ** **ოჯახად** **ცხოვრობენ.**

ტექნიკუმში **ჩარიცხული** **ბიჭები** **ერთ** **ოჯახად** **ცხოვრობენ** **ტექნიკუმის** **ინტერნატში.**

ტექნიკუმში **ჩარიცხული** **ბიჭებისა** **ოჯახებს** **ეძლევა** **ბინა